



11.07.2019

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მეორე სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №4

1. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	სტატუსი	ორგანიზაცია
დიმიტრი გვრიტიშვილი	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ზაზა ხარებავა	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი მიქაუტაძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ქეთევან ცინცაძე	წევრი	დამოუკიდებელი ინსპექტორი
ქეთევან ლაცაბიძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შორენა მეზურნიშვილი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მაია ბოცვაძე	წევრი	თბილისის სააპელაციო სასამართლო
ნათია ვასაძე	წევრი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ლია მჭედლიშვილი	წევრი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
თორნიკე გეწაძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ქეთევან ბასილაშვილი	წევრი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ქეთევან ლაცაბიძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია ზურაბაშვილი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ეკატერინე გასიტაშვილი	მონაწილე	საქართველოს უზენაესი სასამართლო
ლევან გზირიშვილი	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ლევან შენგელაია	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირმა გელაშვილი	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირაკლი გოცირიძე	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვანო ბოლქვაძე	მონაწილე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლა
რენატე ვინტერი	მონაწილე	ევროპის კავშირი
ბინტა მანსარაი	მონაწილე	ევროპის კავშირი

ჰერმან ფონ ჰებელი	მონაწილე	ევროპის კავშირი
მაია ჩოჩუა	მონაწილე	ევროპის კავშირი
ნინო გოგობერიძე	მონაწილე	ევროპის კავშირი
ნათია ქანთარია	მონაწილე	ევროპის საბჭო
მაია ტალახაძე	მონაწილე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ანი მუხიგულაშვილი	მონაწილე	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
თამარ აკობიძე	კოორდინატორი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	მდივანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის 2.4.2.2. აქტივობით (სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტის გადახედვა და ამოქმედება) გათვალისწინებული საკითხის განხილვა.

3. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2019 წლის 11 ივლისს, მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 13 წევრი.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია გარკვეული აქტივობების შესრულების მიზნით პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამატებითი შეხვედრების გამართვა. ამდენად, ჯგუფის წევრთა სრული უმრავლესობის გადაწყვეტილებით 2019 წლის 11 ივლისის სხდომა ღია ფორმატში ჩატარდა.

მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომაში მონაწილე პირებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელმა, რენატა ვინტერმა და ამავე ორგანიზაციის ექსპერტებმა - ჰერმან ფონ ჰებელიმ და ბინტა მასარაიმ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს საერთო სასამართლოებში მოქალაქესთან კომუნიკაციის სტანდარტების ახალი პროექტი/განმარტებითი ბარათი და საერთაშორისო ინსტრუმენტების, საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტების და ეროვნული იურისდიქციების საუკეთესო პრაქტიკის კომპილაცია. აღნიშნეს, რომ პროექტი საერთაშორისო

სტანდარტების მიხედვითაა შექმნილი. ამასთან, ყურადღება გამახვილებული მოსამართლეებთან, სასამართლოს მოხელეებთან, საზოგადოებასთან და მედიასთან დაკავშირებულ სტანდარტებზე.


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ი. შენგელაიამ ისაუბრა წარმოდგენილი დოკუმენტის მნიშვნელობაზე და მოიწონა იგი. თუმცა ასევე აღნიშნა, რომ სასურველია პროექტს დაემატოს ისეთი საკითხები როგორცაა მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა, საბჭოს მოსამართლე/არამოსამართლე წევრებსა და აპარატის თანამშრომლთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება.

ი. შენგელაის მოსაზრება გაიზიარა ასევე მეორე სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელმა - დ. გვრიტიშვილმა.

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოითქვა/კითხვები დაიბა ახლად მეორე სამუშაო ჯგუფის წევრების. სხდომაში მონაწილე დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდანაც.

4. მეორე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

მეორე სამუშაო ჯგუფის წევრები და სხდომაზე მოწვეული პირები შეთანხმდნენ, რომ მომდევნო სამი კვირის განმავლობაში განხილულ პროექტთან დაკავშირებით წარმოადგენენ თავიანთ წერილობით მოსაზრებებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ჯგუფი მომავალშიც გააგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას.

თანამომხსენებლები:  დავით გვრიტიშვილი

 ზ. შენგელაია

მდივანი:  ნინო დემურხანაშვილი

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის
იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი

II სამუშაო ჯგუფის (ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა)

შეხვედრის დღის წესრიგი

1. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის 2.4.2.2. აქტივობით (სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტის გადახედვა და ამოქმედება) გათვალისწინებული საკითხის განხილვა.

შეხვედრის თარიღი: 2019 წლის 11 ივლისი შეხვედრის დრო: 10:00 სთ.
შეხვედრის ადგილი: ქ.თბილისი, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი“